

ხელისუფლებაში ქართველ მედვედევს ეძებენ

გაზეთი “ახალი თაობა” – 18 ივნისი, № 142, 2010.

ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებული პრეზიდენტის გუნდი ძალაუფლების შენარჩუნების შემდგომ ნაბიჯებზე ფიქრობს და არ მალავს, რომ ქვეყნის კურსი იცვლება. მართალია, პრეზიდენტი აცხადებს, რომ საქართველო დასავლეთისკენ მიდის და რომ ქვეყანას ევროპული ორიენტაცია აქვს, მაგრამ რეალური ნაბიჯები და საჯარო განცხადებები საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

პრეზიდენტი ქვეყნის სინგაპურიზაციაზე საუბრობს და აზიური კაპიტალის მოზიდვით არის დაინტერესებული. ეს კი იმ ფონზე ხდება, როცა რეალურად ამერიკამ საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერა შეასუსტა და რუსეთი კი ყველა თავსი ინტერესებს იკმაყოფილებს.

– დღის წესრიგში ასეთი ამოცანა დგება: შეირჩეს ქართველი მედვედევი. როგორი უნდა იყოს ქართველი მედვედევი? ვფიქრობ, ის, ისეთი პოლიტიკური ფიგურა უნდა იყოს, რომელიც არც დიდი პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში და არც დიდად არავის არ სძულს, ანუ ნეიტრალური ფიგურა უნდა იყოს. მას უნდა ჰქონდეს ოპოზიციასთან დალაპარაკების გამოცდილება, თანაც სახელმწიფო თანამდებობებზეც უნდა იყოს ნამუშევარი, კარგად უნდა ფლობდეს ინგლისურს, უნდა იცოდეს პოლიტიკური ეტიკეტი და წინააღმდეგი არ უნდა იყოს, რომ ხოლოდ ფორმალურად იყოს ქვეყნის პირველი პირი. ამ თანამდებობაზე ნაციონალურ მოძრაობაში, ასე ვთქვათ, შიგა “კასტინგია” გასამართი. ქართველ მედვედევად, ვფიქრობ, ყველაზე ყურადსადეგ პიროვნებად ჩანს დღევანდელი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბარქაძე, – აცხადებს ეკონომიკური ექსპერტი ლადო პაპავა.

თქვა თუ არა ქვეყანამ ევროპულ ორიენტაციაზე უარი, რა პერსპექტივებია ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანების კუთხით? – ამ და სხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს ლადო პაპავასთან.

– ბატონო ლადო, საით მიდის ხელისუფლების პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსი?

– სააკაშვილის მმართველობის პერიოდში შეიქმნა განცდა, რომ საქართველო პროდასავლური ქვეყანა იქნება. პროდასავლური არტიკულაციის პირობებში საქართველომ იმავდროულად ფართოდ გაუღო კარი რუსულ კაპიტალს. შემოდოდა დიდი რაოდენობით რუსული კაპიტალი და თანაც – სტრატეგიულ დარგებში. შემოვიდა “პრამიშლენი ინვესტორი”, რომელიც დღეს ფლობს საქართველოში ოქროსა და სპილენძის წარმოებას; შემოვიდა “ვნეშ ტორგ ბანკი” იგივე “ვთბ ბანკი”, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი ბანკის მეპატრონეა. შემდგომ თამაშის წესები შეიცვალა და საქართველოში შემოდოდნენ არა რუსეთში, არამედ ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული რუსული კომპანიები. შეგახსენებთ, რომ ზურაბ ჟვანიას, ფინანსთა მინისტრ და შემდგომ პრემიერის – ზურაბ ნოღაიდელის და ენერგეტიკის მაშინდელი მინისტრის ნიკა გილაურის განცხადებებს, რომ მაგისტრალური გაზსადენი უნდა გაეყიდათ “გაზპრომზე”. რომ არა ამერიკელების ჩარევა, ეს ასე იქნებოდა. აქ უკვე გაჩნდა პირველი კითხვები: თუ საქართველოს დასავლური ორიენტაცია აქვს, რატომ შემოდის ასე ფართოდ რუსული კაპიტალი? დღეს დაძაბული ურთიერთობაა რუსეთთან: ჩაიკეტა რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისთვის. წყდება კავშირები რუსეთთან, თუმცა ასეთ ვითარებაში რუსული კაპიტალი მაინც შემოდის. არტუკულაცია გვაქვს არა უბრალოდ პროდასავლური, არამედ ანტირუსულიც. ამ არტიკულაციის მიღმა კი არის შემდეგი ქმედება. მთელი რიგი რეფორმები, რაც ლიბერალიზაციის კუთხით გატარდა, წინგადადგმული ნაბიჯია სწორედ საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტების დამკვიდრებისთვის. შესანიშნავი ნაბიჯები გადაიდგა ბიზნესის დაწყების პროცედურების გამარტივებასთან დაკავშირებით. საგადასახადო კოდექსი იდეალურად კარგი არა გვაქვს, მაგრამ ბევრად უკეთესია, ვიდრე 2005 წლამდე იყო: საგადასახადო ტვირთი აშკარად შემცირდა. ქართული ეკონომიკის ფასადი ყალიბდებოდა, როგორც ლიბერალური. მაგრამ საკმაზი ხშირად ნეობოლშევიკურია: მესაკითრეებს ართმევდნენ ქონებას ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, ანგრევდნენ შებობა-ნაგებობებს, მასმედიაზე აწესებდნენ კონტროლს და ა.შ. ასეთ ვითარებაში ხელისუფლების მხრიდან მოწოდებებიც გაისმა, რომ საქართველო უნდა იყოს მეორე სინგაპური. როდესაც ლადო გურგენიძე პრემიერ-მინისტრი იყო, იძახდა, საბოლოოდ საქართველოს ორიენტაცია ბახრეინზე უნდა იყოსო. ბოლოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა თქვა,

რომ საქართველო უნდა იყოს შვეიცარიისა და სინგაპურის ნაზავი. ეს ყველაფერი ის მოწოდებებია, რომელიც არანაირად არ ჯდება საქართველოს ევროპულ ორიენტაციაში.

– შესაბამისად, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების იმედი აღარ უნდა გექონდეს?

– ნატოში გაწევრიანების თვალსაზრისით, მე ვთვლი, რომ ჩვენ სამწუხაროდ, ახლა ბევრად უფრო შორს ვართ, თუმცა ახლოს არც არასდროს ვყოფილვართ. ნატოს ელემენტარული პრინციპი აქვს – ნატოს წევრ ქვეყანას არ უნდა ჰქონდეს საკამათო საზღვარი თავის მეზობლებთან. როგორი რეფორმებიც არ უნდა გავატაროთ, კონფლიქტები გვაქვს. დღეს უარეს მდგომარეობაში ვართ. თუ საქართველო ცნობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, მაშინ საზღვარი გაივლის იქ, სადაც დღეს რუსის ჯარი დგას და აკონტროლებს. ეს აშკარად გაამარტივებს ნატოში გაწევრიანების პრობლემას. მაგრამ, თუ ჩვენ ამას არ ვაღიარებთ, და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოში საბედნიეროდ შეუძლებელია მოიძებნოს ის პოლიტიკოსი, რომელიც აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, მაშინ ასე ოკუპირებული ტერიტორიებით ნატოში შესვლა, უბრალოდ, შეუძლებელია. ასე რომ, ნატოს თემა ამ ეტაპზე, ჩემდა სამწუხაროდ, წმინდა წყლის პოლიტიკური სპეკულაციაა. რაც შეეხება ევროკავშირში გაწევრიანება-არგაწევრიანებას, ევროკავშირი შესაძლებლობას გაგძლევს, რომ მას დაუუახლოვდე. კერძოდ, გაგძლევს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევის შესაძლებლობას. მაგრამ, როდესაც ჩვენი მთავრობა აკეთებს განცხადებას, რომ ქვეყნის ორიენტაციაა სინგაპურისკენ სვლა, ეს ევროკავშირს ძალზედ გვაშორებს. უნდა გვახსოვდეს, სინგაპურში არის საკმაოდ განვითარებული საბაზრო ეკონომიკა, მაგრამ პოლიტიკური რეჟიმი არის ავტორიტარული. ასე რომ, როდესაც ჩვენი ხელისუფალი აცხადებს, რომ მას უნდა ქვეყნის სინგაპურიზაცია, ის არც მაღავეს თავის ავტორიტარულ ზრახვებს. საკითხი ასე დგას: საით მივდივართ? ჩემთვის ნიშანდობლივი იყო სააკაშვილის ბოლო ვიზიტი საფრანგეთში, სადაც მან “ლემონდთან” მიცემულ ინტერვიუში ხაზი გაუსვა, რომ მას უფიქრია პრემიერ-მონისტრობაზე. ესეა კი გავისხენოთ თუ ქვეყანაში რა პროცესები მიმდინარეობს. პრეზიდენტის ინიციატივით შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელიც საქართველოს მოწყობის ახალ კონსტიტუციაზე მუშაობს.

- ანუ ახალ კონსტიტუციაში პრეზიდენტისთვის სასურველი მოდელი დაფიქსირდება?

- რა თქმა უნდა. უნდათ, რომ გაიზარდოს პრემიერ-მინისტრის ფუნქციები და შეიზღუდოს პრეზიდენტის ფუნქციები. კონსტიტუციის ასეთი მოდელი, რომელ კონსტიტუციონალისტსაც არ უნდა აჩვენოთ, გინდათ ვენეციის კომისია იყოს და გინდათ ნებისმიერი ექსპერტი, ყველა ჩათვლის, რომ ეს უკეთესი მოდელია, ვიდრე დღეს არის საქართველოში. მაგრამ ჩვენს პირობებში ეს ასე იკითხება: სააკაშვილმაც აღიარა და ხალხსაც აჩვენეს, რომ ის შეიძლება გახდეს პრემიერ-მინისტრი. უფრო მეტიც: მისი უმრავლესობის აქტივისტები უკვე საჯაროდ აცხადებენ, რომ ძალიან კარგი იქნება, რომ ქვეყანამ კურსი არ შეიცვალოს. რისი კურსი არ უნდა შეიცვალოს ქვეყანამ? ტერიტორიების დაკარგვის კურსი? საკუთრების უფლებათა დარღვევის კურსი? რომელი კონსტიტუციური მოდელისთვის ვემზადებით, რომ დღევანდელი პრეზიდენტი ხვალ პრემიერი გახდეს, თითქმის ისეთივე უფლებებით, რაც პრეზიდენტის რანგში აქვს და გვეავდეს “თოჯინა” პრეზიდენტი, რომელსაც არანაირი ფუნქცია არ ექნება? მაგრამ რეალურად ეს ხომ ნიშნავს მოსკოვის მოდელის გამეორებას. მითხარით, სხვა რომელ სახელმწიფოშია, რომ პრეზიდენტი გახდა პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტად “თოჯინა” დაისვა, რომელსაც არანაირი უფლება არ ჰქონდეს და ქვეყანას პრემიერი მართავდეს. ამის ერთადერთი სცენარი გვაქვს მოსკოვში. ამის განხორციელებაზე არა მხოლოდ სააკაშვილმა განაცხადა ინტერვიუში, არამედ ამაზე მისი აქტივისტებიც საუბრობენ, რათა საზოგადოება თანდათან შეაჩვიონ ამ აზრს.

- ფიქრობთ, რომ სახელისუფლო გუნდი უკვე ეძებს, ვინ გამოდგება მართულ პრეზიდენტად?

- დღის წესრიგში ასეთი ამოცანა დგება: შეირჩეს ქართველი მედვედევი. როგორი უნდა იყოს ქართველი მედვედევი? ვფიქრობ, ის, ისეთი პოლიტიკური ფიგურა უნდა იყოს, რომელიც არც დიდი პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში და არც დიდად არავის არ სძულს, ანუ ნეიტრალური ფიგურა უნდა იყოს. მას უნდა ჰქონდეს ოპოზიციასთან დალაპარაკების გამოცდილება, თანაც სახელმწიფო თანამდებობებზეც უნდა იყოს ნამუშევარი, კარგად უნდა ფლობდეს ინგლისურს, უნდა იცოდეს პოლიტიკური ეტიკეტი და წინააღმდეგი არ უნდა იყოს, რომ იყოს ფორმალურად ქვეყნის პირველი პირი. ამ თანამდებობაზე ნაციონალურ მოძრაობაში, ასე ვთქვათ, შიგა “კასტინგია” გასამართი. ქართველ მედვედევად, ვფიქრობ, ყველაზე ყურადსადებ პიროვნებად

დღევანდელი გადასახედიდან პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბარქაძე ჩანს. გავიხსენოთ თუნდაც 2009 წელს ასდლიანი საპროტესტო აქციები: სწორედ ის აწარმოებდა ოპოზიციასთან, საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან შეხვედრებს.

– ამ შეხვედრების დროს ითქვა, რომ მიმდინარეობდა ოპოზიციის მოსყიდვა. ამ ტექნოლოგიასაც ფლობს დავით ბარქაძე?

– ვერ გეტყვით, მეც მქონია სხვა ექსპერტებთან ერთად დავით ბარქაძესთან შეხვედრა და მოსყიდვის შესახებ არაფერი მსმენია. მას აქვს იმის რესურსი და უნარი, რომ სულ ცოტა ოპოზიციასთან დაჯდეს და ისაუბროს. ოპოზიციაც მზად არის, რომ მასთან ისაუბროს. უფრო მეტიც, აბა გაიხსენეთ, დღეს საზოგადოებაში ვინმე მას აკრიტიკებს? ან ვინმე აღფრთოვანებულ სიტყვებს იძახის მისი მისამართით? ბატონი დავითი ის პიროვნებაა, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან ყველაზე კარგად მოერგება ამ სცენარს.

– ბარქაძეზე ალბათ იმიტომ არ კეთდება მკვეთრი შეფასებები, რომ ის დამოუკიდებელ ფიგურად არ მიიჩნევა.

– სწორედ ესაა. მედვედევი დამოუკიდებელია მოსკოვში? არც მაშინ იყო დამოუკიდებელი, როცა ვიცე-პრემიერი იყო და არც ახლათ. თანაც, შეხედეთ ბარქაძეს რა კარგი კარიერა აქვს: პარლამენტში იყო კომიტეტის თავმჯდომარე, შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი, ამჟამად პარლამენტის თავმჯდომარე, ქვეყნის მეორე პირია. რატომ არ შეიძლება გახდეს ქვეყნის პირველი პირი? ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, რომ საზოგადოებაში აღშფოთების გამოწვევი იქნება სააკაშვილის გაპრემიერება, ფაქტობრივად იგივე ფუნქციების შესრულება ანუ პირველკაცობა და ამის ფონზე საერთოდ არ მიაქცევს საზოგადოება ყურადღებას იმას, თუ ბარქაძე გახდება ქვეყნის პრეზიდენტი. როცა ამაზე ვსაუბრობ, კარგად გამიგეთ, ეს მხოლოდ ჩემი შეხედულებაა. ყველაფერი შეიძლება სულ სხვა სცენარით განვითარდეს. მოიძებნოს სულ სხვა ტიპის მედვედევი, მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ქართველი მედვედევი არ შეიძლება იყოს ამბიციური. ჩემი აზრით, გიგი უგულავა ქართველ მედვედევად აშკარად ვერ გამოდგება.

– არის ინფორმაცია, რომ ასეთი ქართველი მედვედევი შეიძლება იყოს პრემიერი ნიკა გილაური.

– რაც შეეხება გილაურს, საზოგადოებაში მის მიმართ უფრო მეტი უარყოფითი აზრი ფიქსირდება, ვიდრე ბარქაძის მიმართ. გილაურთან

დაკავშირებით ხშირად მსმენია არც თუ სასიამოვნო შეფასებებიც. ბაქრაძე კი ამ თვალსაზრისით არის ბევრად უფრო ნეიტრალური პიროვნებაა.

– ამას იმიტომ ამბობთ, რომ გილაური უფრო მეტად დამოუკიდებელ ფიგურად აღიქმება?

– არა, უბრალოდ გილაური ხშირად ისეთ განცხადებებს აკეთებს, რბილად რომ ვთქვათ, ღიმილის მომგვრელია. მას ხალხი არც თუ იშვიათად იუმორის გრძნობით აღიქვამს.

– ამის მიუხედავად პრემიერი გილაური ასერხებს, რომ წარმატებული მთავრობა ჰყავდეს.

– თუ ჩვენს პრეზიდენტს დაგუჯერებთ, საქართველოს პრემიერებიდან ყველაზე წარმატებული ლადო გურგენიძე იყო, მაგრამ ის რატომღაც აღარ ყავს პრემიერ-მინისტრად. შემოძლია გითხრათ, რომ ყველაზე გავლენიანი და სერიოზული პრემიერ-მინისტრი დამოუკიდებელ საქართველოში გახლდათ ზურაბ ჟვანია. მე ახლა მას არ ვაფასებ არც როგორც პოზიტივს და არც ნეგატივს, მე ვაფასებ მას, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს. ასეთი დონის პრემიერ-მინისტრი ჩვენ არ გვეოლია. გურგენიძე ჟვანიასთან შედარებით აშკარად მოიკოჭლებს.

– მთავრობის ბოლო გასვლით სხდომაზე ბათუმში პრეზიდენტი საკონსტიტუციო კომისიის მუშაობას შეეხო. თქვა, რომ კონსტიტუციის ის ახალი პროექტი ისე წავიდა ვენეციის კომისიაზე, წაკითხულიც არ ჰქონდა, მაგრამ ვენეციის კომისიამ პროექტი მოიწონა. შესაძლებელია, ვენეციის კომისიაზე მოხვდეს პროექტი, რომელსაც დეტალურად არც იცნობს სააკაშვილი და რეალურად მაინც იმ კურსით მიდის, რომელიც იმ პროექტშია?

– კუროზებზე ახლა მე გავაგრძელებს საუბარს. ხომ ითქვა ასევე, რომ ქართული ტექსტი და ინგლისურად ნათარგმნი ტექსტი ერთმანეთისაგან განსხვავებულიაო, ანუ ვენეციის კომისიის დასკვნა ერთ ტექსტზე დაიდო და ქართველების პორტფელში კი სულ სხვა ტექსტი დევსო. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარი რა არის, იცით? ნამდვილად არ მინდა ეჭვი შევიტანო ბატონი დემეტრაშვილის კომპეტენტურობაში. აქ სულ სხვა თამაშია. თამაში მიდის ისეთი, რომ ჯერ ერთი დემეტრაშვილის კომისიამ რაც არ უნდა დადოს, ეს მაინც შავი სამუშაო ვარიანტი იქნება, იმიტომ, რომ პარლამენტში არის საკონსტიტუციო უმრავლესობა და რაც უნდათ, იმ ცვლილებებს შეიტანენ და ისეთ კონსტიტუციას მიიღებენ. კონსტიტუცია საბოლოო ჯამში ისეთი ცვლილებებით იქნება მიღებული, როგორი გადაწყვეტილებაც იქნება

შემუშავებული, რომ მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ მოხდეს იმ მოდელზე გადასვლა, რომ სააკაშვილი დიდი უფლებების მქონე პრემიერი გახდეს.

შორენა კოჭოწაშვილი